საშუალოვადიანი პროგნოზების შედარება

წინამდებარე პროგნოზი, მომზადდა 2020 წლის ბიუჯეტის პროექტის შედგენის მიზნით და წარმოადგენს 2019 წლის ბიუჯეტზე თანდართული და 2019 წლის ივლისის თვეში საქართველოს პარლამენტში წარდგენილი პროგნოზის განახლებულ ვარიანტს.

ახალი პროგნოზი შედარებულია გასული წლის ბიუჯეტის კანონზე თანდართულ ცხრილებთან. პროგნოზების განახლებისას განხორციელებული ცვლილებები გამოწვეულია სხვადასხვა მიზეზით, მათ შორის უნიშვნელოვანესია ის, რომ პროგნოზებში გასული წლის მოსალოდნელი მაჩვენებლის ნაცვლად მოცემულია მათი ფაქტიური მნიშვნელობები, რასაც გავლენა აქვს მთელ საპროგნოზო პერიოდზე. თუმცა, მიმდინარე ტენდენციების ანალიზის საფუძველზე, სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციებთან კონსულტაციებისა და საერთაშორისო სავალუტო ფონდის მისიებთან მოლაპარაკების შედეგად მიზანშეწონილად ჩაითვალა ძირითადი ვარაუდებისა და დაშვებების კორექტირებაც.

ცხრ.1. გვიჩვენებს ძირითადი ვარაუდებისა და დაშვებების ცვლილებებს. ცხრილებში შეტანილია 2018 წლის ფაქტიური მაჩვენებლებიც, რათა უფრო ნათლად გამოჩნდეს 2018 წლის ფაქტიური მონაცემების დაზუსტებით გამოწვეული ცვლილების ეფექტი. როგორც ვხედავთ ცვლილება არ განუცდია რეალური მშპ-ს ზრდის 2019 წლის მოსალოდნელ მაჩვენებელს, თუმცა 0.5 პროცენტული პუნქტით შემცირდა 2022 წლის პროგნოზი, რაც დაკავშირებულია გლობალური ეკონომიკური ზრდის პროგნოზების გადახედვასთან. ამასთან, დამატებულია 2023 წლის მაჩვენებელი. რაც შეეხება, მიმდინარე ანგარიშის ბალანსს, უკანასკნელი ტენდენციების გათვალისწინებით, პროგნოზი გაუმჯობესებულია. მიმდინარე ანგარიშის ბალანსის მოსალოდნელზე სწრაფი გაუმჯობესება დაკავშირებულია 2017 წლიდან ეკონომიკაში დანაზოგების მკვეთრ ზრდასთან, რაც გამოწვეულია ბოლო წლების დანაზოგების წამახალისებელი რეფორმებით, როგორიცაა მოგების გადასახადის რეფორმა, საპენსიო რეფორმა და ა.შ.

ცხრ.1. ძირითადი ვარაუდები და დაშვებები						
	2018	2019	2020	2021	2022	2023
	ფაქტ.	მოსალო	პროგნ.	პროგნ.	პროგნ.	პროგნ.
რეალური მშპ-ს ზრდა , %						
წინა პროგნოზი	5.0%	4.5%	5.0%	5.5%	6.0%	
ახალი პროგნოზი	4.7%	4.5%	5.0%	5.5%	5.5%	5.5%
სხვაობა	-0.3%	0.0%	0.0%	0.0%	-0.5%	5.5%
მშპ-ს დეფლატორის პროცენტული ცვლილება						
წინა პროგნოზი	4.5%	3.5%	3.0%	3.0%	3.0%	
ახალი პროგნოზი	3.6%	4.5%	3.0%	3.0%	3.0%	3.0%
სხვაობა	-0.9%	1.0%	0.0%	0.0%	0.0%	3.0%
საპროცენტოგანაკვეთი სესხენხე, %						
წინა პროგნოზი	15.7%	14.7%	13.7%	12.7%	11.7%	
ახალი პროგნოზი	16.0%	15.0%	14.0%	13.0%	12.0%	11.0%
სხვაობა	0.2%	0.3%	0.3%	0.3%	0.3%	11.0%
საპროცენტოგანაკვეთი დეპოზიტებზე, %						
წინა პროგნოზი	8.3%	7.8%	7.3%	6.8%	6.3%	
ახალი პროგნოზი	7.9%	7.4%	6.9%	6.4%	5.9%	5.4%
სხვაობა	-0.3%	-0.3%	-0.3%	-0.3%	-0.3%	5.4%

საქართველოს ფინანსთა სამინისტრო, როგორც ცნობილია, მაკროეკონომიკური პროგნოზირებისთვის იყენებს მოდელს. საწყისი პერიოდის მონაცემების ცვლილება და საწყისი ცვლადების კორექტირება გავლენას ახდენს საბოლოო შედეგებზე, რაც ასახულია მაკროეკონომიკურ პროგნოზებში.

ცხრ.2. გვიჩვენებს ნომინალური მშპ-ს ძველ და განახლებულ პროგნოზებს. ცხრილში მოცემულია როგორც საპროგნოზო მშპ-ს ცვლილება, ასევე მისი შემადგენელი ცალკეული კომპონენტის სხვაობები წინა პროგნოზთან შედარებით. დანაზოგების მოსალოდნელზე სწრაფი ზრდა ასახულია როგორც კერძო მოხმარების პროგნოზების შემცირებაში, ასევე მიმდიანრე ანგარიშის დეფიციტის გაუმჯბესებაში. როგორც ვხედავთ, 2018

ცხრ.2. ნომინალური მშპ-ს ცვლილება						
(მილიონი ლარი)	2018	2019	2020	2021	2022	2023
	ფაქტ.	მოსალო	პროგნ.	პროგნ.	პროგნ.	პროგნ.
ნომინალური მშპ-ს წინა პროგნოზი	**41,527.2**	**44,914.8**	**48,575.3**	**52,784.4**	**57,630.0**	**0.0**
ცვლილებები						
სამომხმარებლო ხარჯები	-1,904.8	-1,982.2	-1,477.8	-1,065.5	-1,248.0	41,582.0
მთავრობა	35.6	51.0	169.0	275.0	168.0	4,229.0
კერძო	-1,940.4	-2,033.2	-1,646.8	-1,340.5	-1,416.0	37,353.0
ინვესტიციები	772.6	529.2	93.2	-295.9	-336.8	25,135.0
მთავრობა	243.9	108.0	-292.0	-730.0	-747.0	4,290.0
კერძო	528.6	421.2	385.2	434.1	410.2	20,845.0
საქონლისა და მომსახურების ექსპორტი	-904.1	22.0	1,819.7	2,162.2	2,286.4	43,704.2
საქონლისა და მომსახურების იმპორტი	-1,586.6	-1,373.9	497.0	868.0	1,046.4	48,172.3
სულ მთლიანი შიდა პროდუქტის ცვლილება	**-449.8**	**-57.2**	**-61.8**	**-67.2**	**-344.8**	**62,248.9**
ნომინალური მშპ-ს ახალი პროგნოზი	**41,077.5**	**44,857.6**	**48,513.5**	**52,717.2**	**57,285.2**	**62,248.9**

წლის ფაქტიური და 2019 წლის მოსალოდნელი მშპ-ს გავლენით, უმნიშვნელოდ შემცირებულია ნომინალური მშპ-ს საშუალოვადიანი პროგნოზი.

რეალური მშპ-ს და მისი შემადგენელი კომპონენტების ცვლილებები მოცემულია ცხრილში 3. როგორც ვხედავთ, თავდაპირველი მონაცემებისა და ვარაუდების ცვლილების გამო, 2019-2022 წლების საპროგნოზო რეალური მშპ მცირედით ჩამორჩება თავდაპირველ პროგნოზს. აღსანიშნავია, რომ არაერთგვაროვანი ტენდენცია აქვს რეალური მშპ-ს შემადგენელი კომპონენტების ცვლილებას, კერძოდ, თავდაპირველ პროგნოზთან შედარებით მცირდება კერძო რეალური სამომხმარებლო და საინვესტიციო ხარჯები, ხოლო იზრდება საგარეო სავაჭრო ბრუნვის მოცულობა. ქვემოთ უფრო დეტალურად იქნება განხილული საგადასახდელო ბალანსის კომპონენტების ცვლილება უცხოურ ვალუტაში.

ცხრ. 3. რეალური მშპ-ს ცვლილება						
	2018 ფაქტ.	2019 მოსალ	2020 პროგნ.	2021 პროგნ.	2022 პროგნ.	2023 პროგნ.
რეალური მშპ-ს წინა პროგნოზი	**16,822.9**	**17,579.9**	**18,458.9**	**19,474.1**	**20,642.6**	**0.0**
ცვლილებები						
სამომხმარებლო ხარჯები	-711.1	-841.9	-614.0	-435.0	-493.3	15,414.4
მთავრობა	27.4	19.7	66.9	106.6	62.5	1,567.7
კერძო	-738.6	-861.6	-681.0	-541.6	-555.8	13,846.7
ინვესტიციები	393.6	212.7	29.1	-125.6	-138.5	9,317.5
მთავრობა	115.5	43.5	-120.0	-289.0	-287.2	1,590.3
კერძო	278.0	169.2	149.1	163.4	148.8	7,727.2
საქონლისა და მომსახურების ექსპორტი	-290.3	-6.0	675.1	780.0	799.9	15,177.9
საქონლისა და მომსახურების იმპორტი	-563.6	-589.0	138.7	270.5	319.4	18,291.6
სულ მთლიანი შიდა პროდუქტის ცვლილება	**-44.3**	**-46.2**	**-48.5**	**-51.2**	**-151.4**	**21,618.2**
რეალური მშპ-ს ახალი პროგნოზი	**16,778.6**	**17,533.7**	**18,410.4**	**19,422.9**	**20,491.2**	**21,618.2**

ნაერთი ბიუჯეტის საპროგნოზო მაჩვენებლების ცვლილება მოცემულია ცხრილში 4. როგორც ვხედავთ ნაერთი ბიუჯეტის შემოსავლების განახლებული საპროგნოზო მაჩვენებლები გაზრდილია. საბიუჯეტო შემოსავლების პროგნოზი გაიანგარიშება მაკროეკონომიკური მაჩვენებლების პროგნოზების, ასევე დაგეგმილი საგადასახადო პოლიტიკისა და ადმინისტრირების გაუმჯობესების საფუძველზე. მიმდინარე საშუალოვადინი ფისკალური პროგნოზი შემუშავებულია საერთაშორისო სავალუტო ფონდთან კონსულტაციების შედეგად და აგრეთვე ასახულია განათლების რეფორმასთან დაკავშირებული ხარჯები.

ცხრ. 4. ნაერთი ბიუჯეტი						
(მილლიონი ლარი)	2018 ფაქტ.	2019 მოსალ	2020 პროგნ.	2021 პროგნ.	2022 პროგნ.	2023 პროგნ.
შემოსავლების ძველი პროგნოზი	**11,624.0**	**12,578.0**	**13,402.0**	**14,250.0**	**15,340.0**	**0.0**
ცვლილებები სულ	**198.2**	**127.0**	**-47.0**	**311.0**	**439.0**	**17,102.0**
გადასახადები	6.3	30.0	-2.0	112.0	230.0	15,447.0
გრანტები	86.9	72.0	-140.0	-47.0	-32.0	309.0
სხვა შემოსავლები	104.9	25.0	95.0	246.0	241.0	1,346.0
შემოსავლების ახალი პროგნოზი	**11,822.2**	**12,705.0**	**13,355.0**	**14,561.0**	**15,779.0**	**17,102.0**
ხარჯები და არა ფინანსური აქტივების ძველი პროგნოზი	**12,201.0**	**13,698.0**	**14,550.0**	**15,409.0**	**16,625.0**	**0.0**
ცვლილებები სულ	**151.7**	**214.0**	**273.0**	**543.0**	**679.0**	**18,718.0**
ხარჯები	**-92.2**	**106.0**	**565.0**	**1,273.0**	**1,426.0**	**14,428.0**
შრომის ანაზღაურება	-8.2	23.0	62.0	127.0	71.0	2,259.0
საქონელი და მომსახურება	43.8	28.0	107.0	148.0	97.0	1,970.0
პროცენტი	-39.4	0.0	80.0	134.0	130.0	944.0
სუბსიდიები	20.9	24.0	122.0	154.0	143.0	1,200.0
გრანტები	-42.4	-16.0	14.0	-9.0	-12.0	155.0
სოციალური უზრუნველყოფა	6.5	23.0	168.0	595.0	663.0	5,943.0
სხვა ხარჯები	-73.3	24.0	12.0	124.0	334.0	1,957.0
არაფინანსური აქტივების ზრდა	**243.9**	**108.0**	**-292.0**	**-730.0**	**-747.0**	**4,290.0**
ხარჯები და არა ფინანსური აქტივების ახალი პროგნოზი	**12,352.7**	**13,912.0**	**14,823.0**	**15,952.0**	**17,304.0**	**18,718.0**

ცვლილებები განიცადა ქვეყნის მიმდინარე ანგარიშის პროგნოზმაც. კერძოდ, შემცირებულია როგორც ექსპორტის, ისე იმპორტის საპროგნოზო მაჩვენებლები, თუმცა იმპორტის კლება აღემატება ექსპორტისას რის გამოც საქონლისა და მომსახურების ბალანსი გაუმჯობესებულია. ექსპორტისა და იმპორტის პროგნოზების ცვლილება უკავშირდება ბოლოდროინდელ ტენდენციებს, როდესაც ეკონომიკამ გამოავლინა საგარეო შოკებისადმი გაზრდილი მოქნილობა და შემცირებული საგარეო მოთხოვნის ფონზე ექსპორტის ზრდა დააფიქსირა.

ცხრ. 5. საგადასახდელო ბალანსი						
მიმდინარე ანგარიში	2018	2019	2020	2021	2022	2023
(მლნ აშშ დოლარი)	ფაქტ.	მოსალ	პროგნ.	პროგნ.	პროგნ.	პროგნ.
მიმდინარე ანგარიში ძველი პროგნოზი	**-1,652.4**	**-1,440.1**	**-1,424.2**	**-1,406.2**	**-1,368.7**	**0.0**
ცვლილებები სულ	**404.8**	**723.6**	**609.5**	**688.0**	**751.1**	**-511.5**
საქონლისა და მომსახურების ექსპორტი	-335.3	-532.6	-513.7	-578.6	-740.9	11,103.9
საქონლისა და მომსახურების იმპორტი	-599.6	-1,176.1	-1,131.8	-1,131.1	-1,217.4	16,329.6
წმინდა ფაქტორული შემოსავლები	89.4	159.5	154.7	202.9	287.7	-526.5
წმინდა მიმდინარე ტრანსფერები	51.0	-36.0	-183.4	-150.4	-159.8	1,529.7
მიმდინარე ანგარიში ახალი პროგნოზი	**-1,247.6**	**-716.5**	**-814.7**	**-718.2**	**-617.5**	**-511.5**

გაზრდილია ფაქტორული შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებლები. შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებლებზე გავლენა მოახდინა 2018 წლის პერიოდის ტენდენციებმა. კერძოდ, შემცირებულია მთლიანი საგარეო ვალი და გაუმჯობესებულია საერთაშორისო საინვესტიციო პოზიცია, რაც ამცირებს მიმდინარე ფაქტორულ გადასახდელებს საზღვარგარეთ. ამასთან, მცირედით შემცირებულია მიმდინარე ტრანსფერები, თუმცა ჯამური ეფექტი მიმდინარე ანგარიშის ბალანსზე პოზიტიურია.

კორექტირებულია მონეტარული მაჩვენებლების პროგნოზიც. 2018 წლის და მიმდინარე წლის გასული პერიოდის ტენდენციებიდან გამომდინარე სავარაუდოა, რომ 2019 წლის ფართო ფულის საპროგნოზო მაჩვენებელი გადააჭარბებს მის თავდაპირველ მნიშვნელობას. ცვლილებებია საბანკო სექტორის აქტივების შემადგენლობაშიც. ფართო ფულის საერთო მოცულობის პროგნოზიდან გამომდინარე, ინფლაციის მიზნობრივი მაჩვენებლის მისაღწევად, საჭირო იქნება საშინაო აქტივების მართვა, რაც მოხერხდება მხოლოდ ეკონომიკის დანარჩენი სექტორის დავალიანების ხარჯზე. ასევე, განახლებული პროგნოზის პირობებში, კერძო სექტორის დავალიანების კორექტირება არ გამოიწვევს საკრედიტო ბაზრიდან კერძო სექტორის რეპრესირებას და საბანკო სექტორი შეძლებს კერძო სექტორის დაკრედიტებას ისე, რომ იგი უზრუნველყოფილი იყოს ეკონომიკური განვითარებისთვის საჭირო ფინანსური რესურსით.

ცხრ. 6. დეპოზიტური კორპორაციების მიმოხილვა

(მლნ ლარი)	2018	2019	2020	2021	2022	2023
	ფაქტ.	მოსალ.	პროგნ.	პროგნ.	პროგნ.	პროგნ.
ფართო ფული M3 ძველი პროგნოზი	**21,864.5**	**24,733.6**	**28,171.6**	**32,477.3**	**37,893.8**	**0.0**
ცვლილებები						
წმინდა უცხოური აქტივები	-2,239.2	-834.3	-420.6	-349.2	-264.9	5,458.5
უცხოური აქტივები	-922.4	917.2	1,430.5	1,631.8	1,671.0	24,872.0
უცხოური ვალდებულებები	1,316.8	1,751.5	1,851.1	1,981.0	1,935.9	19,413.4
საშინაო აქტივები	1,499.4	1,370.7	1,031.6	1,053.5	623.9	38,640.5
მთავრობის წმინდა დავალიანება	432.0	419.0	349.0	71.0	-202.0	149.5
ეკონომიკის დანარჩენი სექტორის დავალიანება	1,188.9	1,225.2	955.7	1,255.1	1,096.1	47,973.4
სხვა მოხლები წმინდა	-121.5	-273.5	-273.1	-272.6	-270.2	-9,482.4
ფართო ფული M3	**-739.8**	**536.4**	**611.1**	**704.3**	**359.0**	**44,099.0**
ფართო ფული M3 ახალი პროგნოზი	**21,124.7**	**25,270.0**	**28,782.6**	**33,181.5**	**38,252.8**	**44,099.0**